

ქირს საჭმლეთა იმპერია!



— რამდენი ხანია უიმპილრბთ?
— თეგერვლამდე თუ გავქელით, 70 წელი გავ-
მოგვივა!

შეარახე და დაეხმოს ასეთი ცხოვრება!



მალაზიბ „სოფლის ნობათის“ გამყიდველი ნიკო ნიორაძე ერთ დღეს შემთხვევით არაფორმალთა სუფრაზე მოხვდა. თავისი სპეციალობის გამო იგი რატომღაც მაშინვე ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა. ბევრი სადღეგრძელო შესვა სამშობლოზე, მამულიშვილობაზე, პატიოსნებაზე! განსხვავებული სასმისით პროფესიული სინდისის სადღეგრძელო რომ დააღვივნეს, შეარახო შებულ ნიკოს გული ამოუჭდა და პირველად თავის შეგნებული (თუ შეუგნებელი) ცხოვრების მანძილზე გულწრფელად აღაპარაკა. უველაფერი თქვა: ნაცნობობით როგორ დამთავრა სავაჭრო კურსები, რა დაუჭდა მალაზიაში გამყიდველად მოწყობა... არც ის დაუშალავს, თუ როგორ ატყუებდა ყოველდღიურად (კვირის გარდა) დღის რვა საათიდან საღამოს რვა საათამდე სხვადასხვა პროფესიისა და მისწრაფებების ადამიანებს, დაწვებული სახელოვანი მუშათა და გლეხთა კლასიდან და დამთავრებულ საამყო ინტელიგენციით! სტუდენტ და მისწავლებული ახალგაზრდობას ხომ ვინ მოთვლის!..

გვიან საღამომდე ძლივს დაამზიდავს სუფრის წვერებმა ატირებული ნიკო: „შენი რა ბრაღია, ცხოვრება იყო ასეთი, უველაფერი ჭკრ კიდევ წინ გაქვს, ჩვენი იმედი გქონდეს, მხარში ამოგდებებით!“ შემდეგ ტაქსში ჩასვეს და შინ გაამგზავრეს. ასეთი მოპურობით გულაჩუქებულმა ნიკომ გზაში მტკიცედ გადაწყვიტა, მეორე დღიდანვე ახლებურად შედგომოდა ცხოვრებას!

სახლში მისვლისთანავე ნიკომ ცოლი წამოაგდო ლოგინიდან, თეთრი ხალათი გაარტყვიდა და მთელი ღამე აწრობინა ცხელი უთო-თი. თვითონ კი ახასოაში შეუსვენებლივ შთაგონებდა საკუთარ თავს, რომ ზვალადან არც ერთი მყიდველი არ მოეტყუებინა წონასა და ხურდაში, ამასთან უველას მოქცეულა მოწიწებითა და სიყვარულით! გათენებამდე ვარჯიზობდა სარკის წინ, სახის თავაზიანი გამომეტყველების მისაღწევად, დაუზარებლად იმეორებდა მისთვის თითქმის უცნობ სიტყვებსა და გამოთქმებს, როგორცაა: „ი ნ ე ბ ე თ!“ „გ მ ა დ ლ ო ბ თ!“ „ს ხ ლ ა ვ ე მ ო გ ა რ თ მ ე ვ თ!“ „რ ო გ ო რ ი გ ნ ე ბ ა ვ თ!“ და ა. შ.

დღიით, ნახევარი საათით ადრე მივიდა ნიკო მალაზიაში. თავდაპირველად თავისი სამუშაო ადგილი მოასუფთავა, მერე სასწორიც დაარეგულირა გამაბი-გრამზე! ისე იყო გართული მოსამზადებელი სამუშაოებით, რომ არავის აქცევდა ყურადღებას.

და, აი, ნანატრი დროც დადგა! — მალაზია გაიღო... კარების გახსნა და მალაზიაში ოციოდე ადამიანის უყინოთი შემოჭრა ერთი იყო!.. სანამ ნიკო გონს მოეგებოდა, მის წინ თითქმის ხელჩართული ომი გაჩაღდა — „არა მე ვარ პირველი, არა მე!“

როგორც კი მყიდველები დაშოშმინდნენ, ნიკომ მაშინვე დრო იხელთა:

— რა მოგართვით, მეგობარო? — მოკრძალებით მიმართა რიგის თავში მყოფ მამაკაცს.

იგი, ცოტა არ იყოს, დაიბნა..

— სამი კილო ბადრიჯანი ამიწონე! — ამოღერდა გაკვირებულმა.

— როგორი გნებავთ, დიდი, პატარა თუ საშუალო ზომის? — გუშინდელ გადაწყვეტილებას პირნათლად ასრულებდა ნიკო.

— შენ რა, მეშაყირები, თუ როგორაა საქმე?! — ღენთივით აფეთქდა მყიდველი და ორივე ხელი მომუქა!..

— როგორ გეკადრებთ, ბატონო, მე მხოლოდ მინდოდა თქვენთვის მესიამოვნებინა! — ჩიუნიფებდა ნიკო. სასწორის ისრის გრამებზე გასწორებას რომ შეუდგა, რიგში უკვე ჩოჩქოლი შეიქნა.. ნიკო კი, ვითომც არაფერი, გულმოდგინედ ცდილობდა წონის დაფიქსირებას. ამ მიზნით ბადრიჯანს დანით მეოთხედო ნაწილი რომ ჩამოათლა, მაშინ კი აიხსო რიგში მყოფთა მოთმინების ფიალა!..

— შენ, ძმაო, მაგ მაიმუნობას დაანებე თავი, თორემ არ ვიცი, რას გიზამ! — იუვირა ვილაცამ ბოლოდან.

ამის თქმა და — აქეთ-იქიდან სეტყუავსავით წამოვიდა ნიკოს მისამართით ახსნა-განმარტებითი სახის მარტივი, შერწყმული და რთული წინადადებების ნაკადი:

„მაგას (ე. ი. ნიკოს) რა ენაღვლება, აქ გვეჩამბაზება, ჩვენ კი სამსახურში გვაგვიანდება!“ „რა გახდა სამი კილო ბადრიჯანი, რომ გადაუვა მაგის აწონვას?“ „გამოჩნდა რა, ვითომ პატიოსანია!“ „შეხედეთ, შეხედეთ, თითქოს გრამების სიზუსტითაც კი გვიწონის!“

ნიკოს შინაგანი ძალების მთელი მობილიზება დაჭირდა, წონასწორობიდან რომ არ გამოსულიყო და დაწყებული საქმე ბოლომდე მიეყვანა. აწონვას რომ შორჩა, კუთვნილი ხურდა — შვიდი კაპიკი ღიმილით დალაგა დახლზე.

— რა არის ეს?! — ღრიალებდა მოთმინებადაკარგული მყიდველი და უკვე დახლისკენ მობობდა.

— ეს თქვენი კუთვნილი ხურდაა, 7 კაპიკი! — შეუდგა ნიკო განმარტებას, — მოგესხებოდა, რომ კილო ბადრიჯანი ღირს 81 კაპიკი, სამი კილო ეღირება 98 კაპიკი. თქვენ მომეცით მანეთიანი, მე გიბრუნებთ ხურდას 7 კაპიკს!

— ვინ არის, ბიჭო, შენი მათხოვარი?! — ორი კაცი ძლივს აკავებდა გაფორებულ მყიდველს, — მომაცილეთ, ხალხო, ეს ოხერი, თორემ ჩემს თავზე პასუხს არ ვაგებ! ორი ინფარქტი მაქვს გადატანილი და ამან უნდა მომიღოს ბოლო?! —

ერთი სიტყვით, მალაზიის გამაგე რომ არ ჩარეულიყო საქმეში ვალერიანის წვეთებით, ვინ იცის, როგორ დამთავრდებოდა უკვე-ლივე!..

აღნიშნულმა ინციდენტმა ვერავითარი ზეგავლენა ვერ მოახდინა ნიკოს პრინციპებზე. იგი ჯიუტად აგრძელებდა პროდუქტების უუსტად აწონვასა და მყიდველებისადმი ხურდის უკლებლივ დაბრუნებას. არც ზოგიერთების სიტყვიერმა პროტესტმა გაჭრა — „ბიჭო, ცოტა შენც თუ არ დაგრა, ისე ხელფასი რას გეყოფა?“

ნიკოს უნდოდა მთელი ძალით ეყვირა — „რა გამიჭირეთ საქმე! ჩემი ხელფასითქვენ რაში გენადვლებათო?“; მაგრამ საერთო აყალმაყალში, აბა, ვის გააგონებდა ხმას?!

ასე მიიწურა სამუშაო დღეც. იღვა დახლს იქით ნიკო, ქანცაგაწვეტილი, ყურები საწინადად უშხუოდა, ერთი-ორჭერ შებარბაცდა კიდევ!.. უველაზე მეტად გულს ის უკლავდა, რომ მთელი ამ ხნის მანძილზე ერთი კაციც კი არ აღმოჩნდა, მისთვის რომ თანაგაგონო. უფრო მეტიც, გამაგემ მკაცრად გააფრთხილა: „ერთხელ კიდევ რომ გამოიწვიო მყიდველთა ასეთი უკმაყოფილება, იცოდე, სამსახურიდან გაგაგდებო!“

მარტოდ დარჩენილი ნიკო ახლა იმაზე ფიქრობდა, ცოლისთვის რა პასუხი მიეცა, ზამთრისთვის ქურქის ყიდვას რომ შეეპირა ამასწინათ. ძნელი წარმოსადგენი არ იყო, რომ თავისი პრინციპების გამო იგი შეიძლება მალე სახლიდან გამოგდებულიც აღმოჩენილიყო!.. ამ ფიქრებიდან ნიკო საშუალო სიმაღლის, სათვალთან კაცის თავაზიანმა ხმამ გამოიყვანა:

— თუ შეიძლება, ამიწონეთ გეთ-ყავა, თუ არ შეწყუხდებით!..

ეს უკვე ნამეტანი იყო! ბოლოს და ბოლოს, ნიკოც ადამიანი იყო და მასაც ჰქონდა ნერვები! ამ უკანასკნელებმა ამჭერად მას უმტყუნეს!..

— რა მიკიბ-მოკიბულად მელაპარაკები, პირდაპირ მითხარი, რა გინდა?! — აყვირა გამწარებული ნიკო.

— რატომ კადრულობთ ამას, ახალგაზრდავ?! — სცადა შეპასუხება სათვალთან.

— მიდი, მიდი, გაიარე, საქმე ნახე! — არ ჩერდებოდა ნიკო და შემინებულ კაცს ხელში ზერღედ აწონილ კომბოსტოს დამკანარ ფოთლებს აჩეჩებდა!..

ერთ წამში ნიკოს ცხოვრება ჩვეულ რიტმს დაუბრუნდა. რაც მართალია, მართალია, ძნელია ჩვენს დროში პატიოსნად ცხოვრება!



საქართველო

#ლორიაში

დ რ ო ე ბ ი თ ი..

ის სახლი, სადაც ვცხოვრობდი
მყუდროდ და განმარტოებით.
დაანგრეს და სხვა სახლში
მომეტეს ოთახი... დროებით!..

ღრო გავიდა და საბუთით
ხელში დავდივარ მას აქეთ!..
ვის არ მივმართე, — სადაც კი
მიმითითეს და მასწავლეს!

ამ სიარულში დავხარჯე.
რაც მჭონდა დანაგროვები!..
ყველგან ერთ პასუხს მაძლევდნენ:
„თქვენ საბუთი გაქვთ დროებით!..“

ვხედავ, ვებრდები!.. გამიჭრეს
ლამის სიციცხლის იმელი!..
ბოლოს საბუთის მომცემთან
მორიდებულად მივედი:

„ბინას თუ მაძლევთ, მაღირსეთ,
ვარ თქვენი ზრუნვით მოცული,
თორემ ამქვეყნად ყველანი
დროებითა ვართ მოსული!“

ბრახსნიმღერო შაირები

ჩემო კარგო იბერიავ,
ყელი რომ მოგიღერია,
რატომ ადრე არ მითხარი,
თუ იყავი იმპერია?!

— : — : —

იწამლება ქვეყანა,
ქალია თუ კაცია!..
შენ არ გინდა, მიიღო
ცოტა რადიაკია?!

— : — : —

გვივირს:
ვილაც :საზიზღარი,
კლავს საკუთარ
ძმას და ჭივარს!..
საკვირველი
კი ის არის. —
ზოგი რატომ
თავს არ იკლავს!

— : — : —

„გრძელი ქსიტყვა
მოკლედ ითქმის!..
რომ არა ვთქვათ
მეტისმეტი.
მოიგონეს სიტყვა ერთი —
და მას ჰქვია
რ ე გ ლ ა შ ე ნ ტ ი!



— კი ვიყავი ამ პარტიაში, მარა ასეთი რამეები არ დამჭირვებია!

— : — : —

ქრთამს და ორდენს
ერთდროულად
ღებულობდა ამის ძია!..
რომ გაუგეს, — იმ ორდენმა
შეუფარდა ამნისტია!

— : — : —

ჩვენ ვეძებთ ისეთ მესიას,
რომელიც უკეთესია! —
ამ საქმეს, კაცმა არ იცის,
რამდენი უნდა სესია!

ბ ა ნ კ ა

(იპაონური პოეზიის ერთ-ერთი უანრი)

შევიყვარებ შენს ტანკს და
პოეზიის ყველა სახეს.

ოღონდაც ნუ მომაგონებ,
ნუ მიხსენებ ტანკის სახელს!

— : — : —

რა უნდა ვკითხო მე ისეთ
ქვეყანას და რესპუბლიკას,
სადაც ხალხთ შორის ომს იწვევს
„ფალთარა ქილო კლუბნიკა“?!

— : — : —

ანგელოზად, გთხოვთ,
ნუ ჩამთვლით,
გეფიცებით იმ ათ მცნებას!
მეც გამოძევა ერთი ნაკლი —
არაფერი მავიწყდება!

ცანის ძეგლი

ნო ვ ე ლ ა ნ ა ბ უ რ მ ო რ ბ ი

ლნიის სუფრა ეშხში შევიდა და სიკიჩმა დააყარა და დააყარა მარილი სიტყვებს!.. იგი სპეციალურად წამოეყვანათ სალადაოდ. მანამდე მთელი 2-3 საათი ეძებეს მანქანით. ღირექტორმა რომ გაიგო, მიპყავთო, მთავარ ინჟინერს ჩუმად ჰკითხა:

— მილიციიდან ხომ არაინ იქნება? არ დაათრონ და არ ალაპარაკონ! ის საქმე ჯერ არ დაგვიხურავს და რომ იყნოსონ, სტავკას აგვიწვევენ!

სიკიჩს შეგებულება ახლახან დაემთავრებინა და მდინარის პირზე, გრილოში, თხმელებში გაწყობილ სუფრასთან „დასვენების“ ამბებს ჰყვებოდა.

— ბიჭო, სად მოვხვდი მაინც! იმ სანატორიუმში გულით დაცვენილებს მკურნალობენ თურმე! ნაინსულტარ-ნაინფარქტალ-ნაუბედურალებით იყო სავსე მთელი კორპუსი! ეს მინდოდა მე-ე-ე?! სხვა რამეზე კი არ ლაპარაკობდნენ, — ვის რამდენჯერ დაჯრა გულმა და ვინ რამდენჯერ მოიარა საიქიო! ეს იყო იმათი გართობაც! ერთმა თქვა, სამჯერ დამარტყაო! ზესტაფონელმა უსმინა და ჰკითხა:

- მეტი არა-ა-ა?
- ვახა-ხა-ხა-ხა-ხა!..
- მიდი, სიკიჩ!
- რავე იყო, მატლები რომ წამოიღე თბილისში?

სიკიჩმა წრუტუნით გამოცალა ჰიქა, კარგი ნაჭერიც დააყოლა და ტუჩებზე მოისვა ხელი. არ ჩქარობდა და ზოგს გულმა აღარ მოუთმინა.

— მოდი, თითოც დავლიოთ! სანამ ეგ ნამცობარს ამოიღებს, არ ავიჩქარდება, ხომ იცი?!

— ჩემი გაჩენა დასწყევლოს ღმერთმა! ყველაფერი მეჩქარება! ავიერ, ა, სავსე სუფრაზე ვარ და ლუკმა მეჩხირება ყელში სიჩქარით! გადაყლაპვა მეჩქარება!..

სიკიჩმა ღინჯად დაიწყაო:

— იმ წელიწადს მუხები დახმა ტყეებში, ვერხვებს ვინღა ჩიოდა?! ათასნაირი მატლი შეესია ტყეებს და ღირექტორმა თბილისში მიკრა თავი.

— ხომ ხარ ტყის დაცვის ინჟინერი, ჩადი და ავიაცია ითხოვე სამინისტროში, იქნებ ტყეები შეგვიწამლონო!

შეგარჩიე კი ღიდრონი მატლები ნიმუშად, შევახვიე ქალაქში და წავედი. სამინისტროში გოცდნენ: — ამხელა მატლები საიდან, სპეციალურად ხომ არ გავისუქებიაო?! გამეცინა და ვუთხარი: — ბატონო იოსებ ივანიჩ, ეს რა არის, მთავარი მატლები იქ, კაბინეტებში, უნდა ნახოთ-მეთქი! კინაღამ სკამიდან გადავარდა კაცი სიცილით. არც სუფრის წვერებს მოსვლიათ ნაკლები.

— ვის გულისხმობდი, სიკიჩ, ღირექტორს და მთავარ მეტყვევს?

სიკიჩმა მორცხვად გაიღიმა და მოკრძალებით გადაწია თავი გვერდზე. თვითმფრინავის წამოყვანის ამბის თხრობაც დააპირა, მაგრამ თავი შეიკავა. ქებას და ტაშს ჯერ ვერ გაეჭრა საამისოდ.

— სიკიჩ, რავე იყო, აღრე რომ ღირექტორი მოგისხნეს საშრობზე დაწერილი საჩივრით?

— აბა, ბიჭო! საშრობზე დაეწერა საჩივარი, პოჩერტი არ იცნონო! ერთი მუხისთვის მოხსნეს საწყალი!..

— თვითონ როგორ ჰყვებოდა ხოლმე, მერე, მომჩივანი?

— ვესროლე, მესროლა! კიდეც ვესროლე, კიდეც მესროლა! ბოლოს საშრობზე დაწერილი ვესროლე და ჩამოვადგეო!

— რას ერჩოდა, მაინც, რატომ დაუწერა?

— ჩვენში დარჩეს და, ქვაწვივა კაცი იყო. მამალს არ იყოლიებდა ეზოში, ბევრს ჰამსო! მეზობლის მამალით გადიოდა იოლად. ოჯახში სადილ-ვახშმად რომ დასხდებოდნენ, კარს კეტავდა და ფარდებს აფარებდა ფანჯრებს, არაინ შემოგვისწროსო!

— ეგ რომელი, კაცო?! ის ხომ არა, აზნაურიშვილობსო, მაგის პურ-მარილი პრასი და გიტარააო?! საყვარლიდან სახლში მისულს ცოლმა იატაკის ჯოხი რომ უთაქა, მამალს რომ დედას მიეფერება, ისე მშურს, პირში ნერწყვი მომდის და შენ სხვაგან დაეთრევიო?!

— ეგა, ეგა! ახალ მთვარეზე იყო ნაკეთები!..


— დამპალი იყო შობელქაღლი!..

— რატომ, კაცო?!

— სულ მე-ე-ე-ე, მე-ე-ე-ო! სხვა აღარ ახსოვდა.

— თხის რძით ყოფილა გაზრდილი. — ერთხელ თურმე საყვარელს უთხრა, — ქალები ყველა ერთნაირები ხართ, სახელები გქვიათ მხოლოდ სხვადასხვაო! კაცებიც ერთნაირები ხართ, ხელფასი გაქვთ მხოლოდ სხვადასხვაო! — უპასუხებია ქალს.

ნახ. მ. აბაშიძისა



— აბა, ერთი ხისთვის მოხსნეს?
 — სტალინი იყო მაშინ, სტალინი! კანონი იყო, რწმენა იყო!..
 — რა გითხრათ, იცი? ვისაც სწამდა, ახლაც სწამს! რწმენაც ნიჭია თურმე! ეტყობა, რწმენის ნიჭიც არსებობს!
 — სიკიჩ, რავე იყო, სტალინს რომ შეაგინეს?
 — არა, ბიჭო, კი არ შეაგინეს! ვინ გაბედავდა?! შეაგინესო, თქვეს. ომამდე იყო ეს ამბავი, კარგად მახსოვს. ვანიჩკა მეღუქნემ, ცალტვინამ, ოსები გალანა ბაზარში. მეც შევესწარი იმ ამბავს. წასულან ოსები და მილიციაში უჩივილიათ თავპირდასისხლიანებულეს. მეც დამიძახეს მოწმედ. რომ მივედი, სამორიგეოში დამხვდნენ, სამ მილიციელს ერთი საწყალიო კაცი გაეგდო ფეხქვეშ და დოლოვით უბრაგუნებდნენ. ერთი მათგანი ცემას მოეშვა და ვანიჩკას ჰკითხა: — შენ გალანაზე ეს ხალხიო? ოსებს მიაშვირა ხელი. კიო, — ვანიჩკამ, — მე გავლახეო! ვიფიქრე, — აგაშენა ღმერთმა, მოწმეობას გადავრჩი-მეთქი. რატომო? — ჰკითხა ისევ იმ მილიციელმა. — რატომ და, სტალინს შეაგინესო! სტალინს შეაგინესო?! ამის თქმა იყო და, სამივე მილიციელი დაერია იმ თავპირდასისხლიანებულ ოსებს. ბოლი ადინეს ზურგზე საწყლებს და კამერაში ჩაყარეს. არადა, ვიცოდი, სტალინის გინება აზრადაც არ მოსვლიათ საცოდავებს. ფულზე მოუვიდათ ჩხუბი. ეშმაკობით აჯობა ცალტვინამ.
 ... ჰკითხა ჰინჭილა ცვილია, ჰინჭილას — კულა, სიმღერას — დაჭირავებული „მუსიკანტების“ ჰანგები და ცეკვა.
 სიკიჩიც გამოითამაშეს მიგზავნილებმა: ის ჯერ უარზე დადგა.
 — რა გიჭირთ, ცეკვაც გასწავლეს ახალგაზრდებს თავის დროზე და სიმღერაც! შენ სად მეცალა მაგისტვისი?! რა მეცეკვებ-მემღერებოდა, მძიმე დრო შემგვდა! მერე, სტუდენტობა რომ დაევამთავრე, ვერც მაშინ მოვიცალე. რუსული არ ვიცოდი და ენა

რომ გამეტება, რუსეთში წავედი, ერთ წელიწადს მუშად ვიმუშავე საბჭოთა მეურნეობაში. ახლა ცეკვა რომ მასწავლა, ცეკვაში რომ გამატება ფეხი, თანახმა ვარ, 3 წელიწადს ვიმუშაო ცეკვის მუშად. კარგ სუფრასთან ცეკვა რომ გაჩაღდება და გული რომ ახტება და დახტება, ხანდახან მეც ავიღებ ხოლმე ნამუსზე ხელს და მეც ავიღებ ხოლმე, მაგრამ ეს ხომ ცეკვა არაა, სურვილია მხოლოდ!
 — რას ამბობ, სიკიჩ, თქვენი ცეკვა პირველია ხომ არ გვინახავს?! არ გავგავხუნო ახლა ახალგაზრდები!..
 — ექება ვის არ აბრეყებს! სიკიჩიც „გადახტა“ წრეში!..
 — ხა, ხა, ხა, ხა!..
 — ფიგურა, სიკიჩ, ფიგურა!..
 — დაჯდა თუ არა, სულის მოთქმა არ აცალეს, იცოდნენ, ახლა იყო სწორედ მისული საჭირო წერტილამდე.
 — რავე იყო, სიკიჩ, თვითმფრინავი რომ წამოიყვანე თბილისიდან?
 როლში შესული სიკიჩი უკვე ფეხზე იდგა. თვითმფრინავის კი არა, ველოსიპედის მართვაც არ უცდია იციოცხლეში, მაგრამ ქვეშიდან ხომ არ გამოვიდოდა?! ისე, ღვთის წინაშე, კიდევ სცადა თავის არიდება, კიდევ შერჩენოდა ამის ძალა!..
 — სამინისტროში, — კიო, — მითხრეს, წაიყვანე თვითმფრინავი და წამალი შეასხურე ტყეებსო, მაგრამ გამოირკვა, მფრინავი გამხდარიყო ავად!..
 — მიდი, კაცო, დაჯექი! რავე, თვითონ ვერ შეძლებ მართვას თუ?
 ექებამ საბოლოოდ დააჩოქა სიკიჩი და მანაც ხელად წარმოიდგინა თავი პილოტის როლში. ისე გადახვედა სუფრას, თითქოს თვითმფრინავიდან იყურებოდა!..
 — რაიონს რომ გადმოუფრინე, აბაზიანივით გამოჩნდა ჩვენი ქალაქი. ბებიაჩემი გამოსულყო და კიბეზე წინდას ქსოვდა.



ისე, თვითმფრინავის დასმა კი გამიჭირდა.
 — არიქა, ბიჭო, ფრთხილად იყავი!.. ვა-ხა-ხა-ხა-ხა!.. არაფერი შეგემთხვეს, არ დააობლო რაიონის ტყეები!.. უხა-ხა-ხა-ხა-ხა!.. — გადაბვირდა მავიდა.
 — მოგიკვდეს სიკიჩი მაშინ!
 ორივე ხელით ჩააფრინდა ოცნებაში წარმოდგენილ შტურმანს სიკიჩი და ფრთხილად დაჯდა... სკამზე.
 — ნახე, ბიჭო, რა სუფთად დასვა!.. სუფრა გუშგუნებდა!..
 — გაგიმარჯოს, სიკიჩ, ორჯერ, სამჯერ მეტად გაგიმარჯოს, ვიდრე გექუთვნის!
 — რატომ მასე, ბიჭო?! — ხმადაბლა ჰკითხეს მსურველს.
 — ხომ საყვარელი კაცია, ძალიან ცოდვა იქნება სხვათაგანად, ღმერთმანი!
 — ამაუყურეშენ?!
 ... ავარია მაინც მოხდა!..
 ვილაცას რიდი მწიფე პამიდორი დაეღო სიკიჩის სკამზე. დაჯდომა იყო და — პამიდორმაც „იფეთქა“!.. ნახევარი სუფრა მაინც გაისვარა, მფრინავი კი გადარჩა! დიჯერებთ?! წვეთიც არ შეგებია! შეიძლება იმიტომაც, რომ „ჭუჭყის ამტანი“ ტანსაცმელი ეცვა და არ დააჩნდა.
 თუმცა რა, მაშინ ხალხიც ჭუჭყის ამტანი იყო! საზოგადოება იყო ჭუჭყის ამტანი! ეს ლხინი ხომ მაშინ გაიმართა ამ ნათხოვარ წუთისოფელში, კვერცხიდანაც რომ არ გამოწიოდა გარდაქმნა!



ღიალოვეი ყანაში

გერონიშვილი
ნიკოლოზიძე

— რა იყო, დედაკაცო, რამ აგაჩოჩქოლა, სულს რომ ვეღარ იტკვამ?! რა მოგივიდა?!
 — აჰა, ეს სამხარი ხო ამოვიტანე, ზედ ახალი ამბებიც მოგიყოლე!.. ყოჩაღ, ეს ყანაც კარგა ბლომად გაგიტონხია!..
 — რაო?! ისევ ამბები და ამბები?! მაინც რას ამბობენ, ეგრე რომ აქოთქოთებულხარ?!
 — რაო რას, შენი კენესამე! ამბობენ, ეს ჩვენი ახალგაზრდობა ან აგვაშენებს, ან სულ დაგვაქცევსო! იმასაც ამბობენ, ბელადის ძეგლი ჩამოუგდიათ რომელიღაც ქალაქში, შიგ შუაგულ ცენტრში, შუადღისასაო!..
 — რათაო, რა დავიშავაო?!
 — უი, რათა ვარ ცოცხალი! კაცო, შენ ასწავლი ჩვენს ახალგაზრდობასა?! რაც კომუნისტებმა ეკლესია-მონასტრები ანგრის, არცერთ ურჯულს არ უქნია ასეთი რამ!
 — აბა, სტალინზე რაღას იტყვი, ის ხო მაინც ჩვენი კაცი იყო. ქართველი?
 — რა, შე კაცო?! არ იცოდე მაინცა!.. რაც ლენინს პრაგრაამა შეუღვენი ხალხის დახოცვა-განადგურებისა, ამდგარა და სულ ამ ჩვენი ბიჭისთვის დაუტოვებია, შენ მაგარი ხარ, აბა, შენ იცი და შენმა ბიჭობამაო! რაც მეტ ჭკვიან კაცს მოკლავ, ჩვენ უფრო ჭკვიანები გამოვჩნდებით და იმდენი მოჭინააღმდეგეც აღარ გვეყოლებათ!
 — მეგრე, ქალო, კიდე რაო?! არ თქვა, ხრუშჩოვიც ავი კაცი იყო!
 — დედაა! რა გაუნათლებელ კაცთან მიცხოვრია სამოცდაათი წელიწადი! ხრუშჩოვმა არ დააქცია ქვეყანა?! საიღუმლოდ გეუბნები, არ გამცე და, თურმე ქართველების გასახლება სდომებია ციმბირში!..
 — კარგი, აბა და, ბრეჟნევეზე რაღას იტყვი, ხო იყო უწყინარი კაცი?
 — რას ამბობს ეს კაცი?! სად ეცალა ბრეჟნევეს ჩვენთვის?! არ დატოვა, თუ სადმე ქვეყანა იყო დედამიწის ზურგზე! — იარა და იარა, იქიდა და იქიდა, რაც ქვეყანაზე შედლები და ორდენებია!..
 — ჩერნეკო?
 — დაანებე, კაცო, იმ ავადმყოფ კაცს თავი! სულ გაბრუებული ჰყავდათ ექიმებს! ის საწყალი ისე მოკვდა, ერთხელ აზრზეც არ მოსულა!..

— ანდრობოვი მაინც ხო იყო კაი კაცი?
 — ჰო, იყო, აბა, არა?! შენ, მგონი, აღარც გახსოვს, არაყის გა-მოსახდელი ქვაბისათვის სამი თვე რომ მაყურყუტეს მილიციაში?! ნამდვილად კაი კაცი იყო, ციხის გემო გამაგებინა ამ სიბერეში!
 — ახლა ხო მაინც კარგი დრო დავგიდგა, ქალო?! რას არ გვეპირდებიან — დემოკრატიაო, რაც გინდა, ისა თქვიო, შენს სახლს კარი საიდანაც გინდა, იქიდან გაუკეთეო!
 — დაიცა, კაცო! შენ რომ ამბობ, არც ეგრეა საქმე! დემოკრატია კია, მარა, როგორც ჩვენ გვინდა, ისე უნდა ილაპარაკოთო, ადრე თუ ჯერ ებარადით, მეგრე ვთხოვნილთ და მეგრე მოსავალს ვიღებდით, ახლა, — ჯერ მოსავალი მოიტანეთ, მეგრე თოხნეთ და მეგრე ბარეთო! ეს იმიტომა, რომა ყველაფერი ძვირი როა, უფრო გამვირდებო, ამას პერესტროიკა ჰქვიაო!
 — ეგ რაღაა, ვეღარ დავიმხსოვრე! რაო?!
 — ახლა არ აგისხენი, შე კაცო?! ჯერ ასე და ასეო! ხოდა, ვეღარ მოუთმენია ჩვენს ახალგაზრდობას ამდენი არგასაგები ამბები და უთქვამთ, თქვენ რაც გინდათ, ისა ქენით, ჩვენ გავგიშვით ჩვენ გზაზე, ცალკე ქვეყანა უნდა ავაშენოთო, ჩვენს მამა-პაპას როგორც უბარავს და უთოხნია, ისე უნდა ვქნათო!
 — ჰაი, ვენაცვალე მაგათა!
 — ხოდა, ზევიდან უთქვამთ. ვერსადაც ვერ გავიშვებთ, თქვენზე დიდ იმედებს ვაშყარებთო! გამოუგზავნიან ჯარი, ჯარისკაცებისთვის და მიუციათ ხელში ბარები — ახლა აპრილია, საქართველოში ბარ-ვის დროა და ცოტა თქვენც წაეშველეთო!.. ჩამოსულან თბილისში, უნახავთ მოცეკვავე-მომღერალი ქართველი გოგო-ბიჭები, უფიქრი-ათ, ეს ბარები რაღაცაში უნდა გამოვიყენოთო?! ამდგარან და უჩე-ხავთ და უჩეხავთ ამ გაბრუებულ-დაბანგულ ჯარისკაცებს ჩვენი გოგო-ბიჭები, ვითომ, თქვენ ამ ბოლო ხანებში ძალიან გამრავლდით და მეტი გამრავლება აღარ გესაქირებათო! ამის შემხედვარე ჩვენი ახალგაზრდები ძალიან გამწარებულან და უთქვამთ, — თუ ეგრეა, აღარც თქვენი მთავრობა გვინდა და აღარც თქვენი პარტია! დარე-ვიან ი ქვის კერპებსა სუ ძირიანფესვიანად მოუთხრიათ მიეღ და-საგლეით-აღმოსავლეთში!.. დედაქალაქში დღელამიანი ყარაულები ჰყალიბა თურმე მილიციასა დაყენებული, — თავის ფეხით არ გავგე-პაროს სადმე და ეს არაფორმალები არ გაეაბრაზოთო!..
 — ეგ, ქალო, რას არ მოგწერება კაცი! თურმე, — სიქაჩლე — სიბერემდეო. — რომ უთქვამთ, მართალი ყოფილა!..

ნახ. 3. კუცინასი



— აბა, შუშა კიტი თუმნალ!
 — რა ამბავია, შე კაცო, შუშა, ბროლი ხომ არა?
 კვ.

ნ.ს. ზ. ფორჩხიძისა



— ა, შენ, ასი მანეთი და ამ ბუზებს ცალ-
კე გაუშალე პურ-მარილი!

ტანჯული კახიშვილის ენოლოგია

ლოზუნების ქვეყანა
ტაშით შემოვიარე,
ხელის გულზე გაჩენილს
ძლივს ვირჩენდი იარებს!..
ვინ მათრახებს მირტყამდა,
ვინ მიშენდა ქვაგუნდას,
ჩემი წუთისოფელი
სულ უკულმა აბრუნდა!..
მაინც „ვაშა“ მესმოდა
გაბრუებულს „ვაშაით“,
უკან დანის გაღვებით
იღივლა მახათი!..
ვინ ციხეში მიპყავდათ,
არც ექებდნენ ბრალეულს,
სადღაც სული ხდებოდა
შემშლილგან გაღიულს!..
მაინც გუნდრუქს ვუკმევდი
პორტრეტების ფალანგას,
ვინც ამდენი ტაშებით
ხალხის ნიჭი გაფლანგა!..
მაინც „ვაშა“ ისმოდა
კლუბიდან თუ ციხიდან,
პარპაშობდა, ვინაც კი
სული ეშმაკს მიჰყვია!
ასე შური, ბეზღობა
ქვეყნად ბეჭრი ითესა,
შეწყალება არ ჰქონდა
შემწყალებულ ქრისტესაც!
ყველა ეკლესიაში
მიკიოტი კიოდა
და ჰქონდა აღწევება
ვერცხლის მონა იუდას!
სულ ეს იყო? მეტიც კი!..
მიკვირს, როგორ გადავჩრი?
მსვრს ხანთელი დავნთო,
როდის შევალ ტაშარში?!

სტაფანე მხარგრძელი



მინიატიურები

— რას გვეტყვი, ყმაწვილო, კოოპერაცი-
ის შესახებ?
— კოოპერაცია, ბატონო პროფესორო,
ისაა, რაიმე ნელელულს მამასისხლად რომ
შეიქენ, დაამუშავებ ან დამუშავება სულაც
არაა საჭირო — მხოლოდ დაფასობ, ერთი
სიტყვით, სახეს უცვლი და შემდეგ ათვერ
უფრო მამასისხლად გაყიდი, ოღონდ ამის-
თვის სათანადო ნებართვაა საჭირო!

— რა მოხდა, კირილე, რამ დაგაღონა?
— შაქარი მაქვს, კაცო, შაქარი!
— მერე, შაქარმა შეგაშინა, შე კაი კაცო,
ამ უშაქრობაში?!

— „მამული“ მომეცით, თუ შეიძლება!
— რომელი აღმასკომის თევმჯდომარე ან
რაიკომის მდივანი მე მწახე, დალოცვილო,
მამულის რომ მითხოვ? — უპასუხებს უურ-
ნალ-გაზეთების გამყიდველი.

უკრადღება — კონკურსი!


ბარდობა კონკურსი ანტიქართული
თხზულების შესაქმნელად. კონკურსში მო-
ნაწილეობის უფლება აქვთ ბეჭდვითი სიტყ-
ვის ისეთ ორგანოებს, როგორებიცაა „ბზი-
ფი“, „ქრანაია ზვინდა“, „ლენინსკოე ზნა-
მია“, „სოვეტსკაია როსია“, „დრუჟბა ნა-
როდოვ“ და სხვ. აგრეთვე ქართველი ერის
სიძულვილით გამსჭვალულ ცალკეულ პი-
რებს (განსაკუთრებით — სამხედრო მოსამ-
სახურეებს), ანტიქართულ ორგანიზაციათა
ხელმძღვანელებსა და მის წევრებს.
გამარჯვებულთათვის დაწესებულია შემ-
დეგი ჯილოები:
ერთი პირველი პრემია — მესხანგარის ალე-
სილი ხელბარი;
ორი მეორე პრემია — რეზინის ხელკე-
ტები, ე. წ. „ლუბინკები“;
სამი მესამე პრემია — „სი-იეს“-ის ტიპის
მომწამლავი გაზის ბალონები;
ორი წამახალისებელი პრემია — ცრემლ-
მდენი გაზის „ჩერიომუხას“ ბალონები.
გისურვებთ წარმატებას!

ლევლა მებრეველი
(გორის რაიონი, სოფელი ფლავი)



**ნავაზს ურტყავს ქალიშვილი
ანუ
მნაველთა სარობა**


ოთახს აღვწერ, ო, რა ოთახს: შვენის ექვსი მაგიდა!
ფანჯრიდან ვი კარვად მოჩანს მკერდბატულა მთაწობისა...
ცარიელი სილამაზე, მითხარ, აბა, რად მინდა?!
იმ ოთახში დანახულმა გული სევდით დაბიხდა!
მაგიდებთან სხედან წყვილიდ კაცები და ქალები,
ახოლოებენ სიგარეტს და ღუმელს უგავთ თვალები.



ქვეყნის ბედზე კამათობენ ნიკოტინით მოვრალეები...
დამეშალა ამის ხილვით წრფელი განცდის რეალები...
კვამლით, შხამით, მწკატე სუნით გაჟღერებულა ოთახს.
მსგავსი რამის „სილამაზის“ პირველად ვარ მე მნახი!
სიგარეტი თავს ისე გოძობს, როგორც მეფე-მონარქი!
თითქოს ნაცარს, კრაქს და ლუსს შეეღობოს ვენახი!
სე ჩანან აქ ქალები, დედანი და ასულნი,
ძლიერ მიკვირს, რად იწამლენ ნახ სიციცხლეს ქალწულნი?
მიბნედილნი ჩანან კვამლში, შხამ-ბურანში ჩაფლულნი,
მაოცებენ გონ-ზნებობით ასე დაბლა დასულნი!
ილიესლა, უჩანთ შებოლილი ლოყა, ტუჩი და ბაგე,
ეშხნაკლულებს ეხედავ ყველას, ლამის განსჯა დავკარგე!
მაინც კვითხე ერთ-ერთ მწვეველს: „ამით მამულს რა არგე?!“
მიპასუხა: „ვინ რას გეითხავთ, ანდა შენ რა დაკარგე?!“
და ვინანე, ცხვირი ჩემი სხვის საქმეში რად ჩავრგე!
თუ არადა, ვწუხვარ, როცა ნავაზს ურტყავს ქალწული,
ზიანდება საწამლაით ბრონქსისტემა და გული,
ველარ ბრწყინავს ძველებურად თვალი, კდემით დაგული...
ეხედავ, ხმება უგნურებით ხე ფაქიზად დაოგული!
ათარ ძალშიმს მოთმინება, სული კივის ხმადალა:
„რად იწამლავთ ნახ სიციცხლეს ან ასე რამ დაგალათ?!“
ნიკოტინის მანქანობას რად არა გოძობთ, რად არა?!
ბუნებურად რომ ბევრს გვაბრძობებს, არ გვყოფნის და არ კმარა?!
განა წა-სჯობს, ერთად ვკავთ, სიჯანსაღის გზა-შარა?!“

შალვა გულუა

ნ.ა. ბ. ლომიძისა



— აბა, ბავშვებო, სად გვხვდება ტორიჩელის სიტარიელი?
— ჩვენს მალაზიებში, პატმასწ!

უცხოური იუმორი

ქართული
ბიბლიოთეკა

— უჩაღ. პეტერი! შენ მხოლოდ ერთი შეცდომა დაუშვი კარნახში! ეს მართლაც კარგია, ძალიან კარგი! ძვირფასო ბავშვებო, ახლა გადავიდეთ მეორე სიტუაციაზე!..

— არ მესმის. რატომ უნდა ვსწავლობდე ინგლისურს?! — ბრაზობს გოგონა. მამა ცდილობს დამშვიდებით აუხსნას:
— იფიქრე იმაზე, რომ ნახევარი მსოფლიო ინგლისურად ლაპარაკობს!
— ჰოდა, განა ნახევარი მსოფლიო საქმარისი არ არის?!

შეშინებული მოსუცი ქალი ეკითხება კაბიტანს:
— გემი ხშირად იძირება?
— არა. ქალბატონო, მხოლოდ ერთხელ. მაგრამ მაშინ ხშირ შემთხვევაში ქვევით რჩება!

ერთი სიკვდილი მის გილს მცველი დანიშნულების ადგილზე მიაცილებდა. საჭირო იყო 50 მეტრის გავლა თავსხმა წვიმაში.
— რა საშინელი ამინდია! — თავს აქნევდა მსჯავრდადებული.
მცველმა ამაზე უპასუხა:
— შენ რა გიჭირს, იქ რჩები, მე კი უკან უნდა გავბრუნდე!

ქრისტიანს და ჰანსმა განსაკუთრებით მშვენიერი პროგრამა დაგეგმეს თავლობის თვისთვის — ორი კვირის გატარება მთის მაყრუებელ ქოხში. ერთი კვირის შემდეგ აღელვებული ქრისტიანს დედამისს ურეკავს:
— ჩვენ პირველად გვქონდა სერიოზული ჩხუბი!.. საშინელებაა პირდაპირ!.. რა მეშველება ახლა?!
— დამშვიდდი. შვილო, ეს უველა ოჯახში ხდება! — უპასუხებს დედა.
— ეს კი ვიცო. მაგრამ, ის არ ვიცო, ხად წავიღო ჰანსის გვამი?!

ახალგაზრდა ქალი მიდის მოსამართლესთან. რათა განქორწინების უფლება მიიღოს. მოსამართლე ეკითხება მიზეზებზე.
— ლოთობა?
— არა!
— ფულს არ გაძლევთ?
— ოო, რას ბრძანებთ!
— გცემთ?
— ერთი გაბედოს!
მოსამართლე დატყდა:
— როგორ გაქვთ ცოლქმრული ერთგულების საქმე?
— ოოჰ, ღმერთო! — ამოისუნთქა ქალმა. — სწორედ ეს არის მიზეზი: მეორე ბავშვი მისი არაა!

— კონიაკი, რომელსაც ახლა სვამთ, 50 წლისაა!
— მართლა? — ეკითხება სტუმარი და კუპაში იუფრება. — ამ წლოვანებისათვის საქმოდ პატარად გამოიუფრება!

კათოლიკური ეკლესიაში მღვდელი ეკითხება აღსარების სათქმელად მისულ შუახნის მხიარულ კაცს. — ჰქონია თუ არა მას კავშირი ქმრიან ქალთან?
— დიახ, სამწუხაროდ! — პასუხობს ცოცხელი.
— ხშირად?
— მე აქ სატრაბახოდ კი არა, მოხანინებლად მოვედი, მამაო!

ორი კოლეგა ხვდება ერთმანეთს ერთ-ერთ მაღაზიასთან. უცებ ერთი მეორეს მიუთითებს ორ ქალზე.
— მარჯვნივ ჩემი ცოლია, მარცხნივ კი ჩვენში დარჩეს და ჩემი საყვარელია!
„აი დამთხვევა!“ — გაიფიქრა მეორემ. — „ოღონდ ჩემთვის შებრუნებულადა“.

მომხიბლავი ქვრივი ჰელგა გამომწვევად ჩაცმული გამოდის სტუმრებით სავსე ოთახში და მიმართავს ახალ ნაცნობს:
— ხომ არაფერს იხებებთ, ბატონო ვოლფგანგ?
— წვეილი ვენური სოსისი, ქალბატონო ჰელგა, თუ შეიძლება!
— სიამოვნებით, ვოლფგანგ, ახლავე, კეთილი გულით!..
— არა, უმგობესია მდოგვით!

ქალბატონი მიუღერი იღებს საქმლის ნაჯერს და სახეს იღრცხს:
— თქვენ ალბათ ობიანი საქმელი გაქვთ ამ რესტორანში!
ბატონი მიუღერიც სინჯავს.
— მართალი ბრძანდებით, ჩვენ სპეციალურად გავაქეთეს ეს, რომ ერთხელ მაინც რაღაც განსხვავებული გვქონოდა!

სატულტო წრის ორი წევრი ხვდება ერთმანეთს ლუდის ბარში.
— იცი შენ, რომ ამერიკელებს ფანტასტიკური გამოგონება აქვთ? — ეკითხება ერთი მეორეს. — შეუძლიათ ნახევარი საათის განმავლობაში მიცვალებულს ესაუბრონ!
— ეს მართლაც საოცრებაა!
— ნამდვილად, მაგრამ ერთი სიძნელე ახლავს თან.
— მაინც რა?
— მკვდარი არ უპასუხებს!

რედაქტორისადმი მიწერილ წერილში ერთი კაცი ჩივის: „თუ თქვენ, ბოლოს და ბოლოს, არ შეწყვეტთ ამ სულელური შოტლანდიური ხუმრობების გამოქვეყნებას, მათ აღარ წავიკითხავ!“

ბებინა გაფაციცებული ადევნებს თვალს ტელეგადაცემას. ოთახში უცრად შემოჭრილმა შვილიშვილმა ტელევიზორის სხვა არხზე გადაართო.

— რას აკეთებ, ბესს. ვერ ხედავ, ვაჭრობის მინისტრი ლაპარაკობს?!
— კი მაგრამ, რას ლაპარაკობს ასეთ საინტერესოს?
— მოუსმინე და გაიგებ!
— მე შენგან მსურს ვაგება! — არ ეშვება შვილიშვილი.
— სიმართლე გითხრა, ვერც მე ვავიგებმა ჰქონდა დაწეული!

— გოეთე რომ ცოცხალი ყოფილიყო დღეს, ნეტავ, თუ იქნებოდა ისეთივე ცნობილი? — ეკითხება შვილი მამას.
— რა თქმა უნდა! ის ხომ მსოფლიოში ყველაზე უხუცესი ადამიანი იქნებოდა!

— ნახევარი წელია ვმოღვაწეობ, როგორც თავისუფალი მწერალი.
— საინტერესოა! მერე და, რა მოგცა მაგ მოღვაწეობამ?
— მაიძულა, გამეყიდა ავტომანქანა, ნაკვეთი და საბეჭდი მანქანაც კი!..

— ჩემთვის ტელევიზორი საუკეთესო საშუალებაა ლიტერატურული ჰორიზონტის გასაფართოებლად.
— სერიოზულად ამბობ?
— რა თქმა უნდა! როგორც კი ჩემი ცოლი ტელევიზორს ჩართავს ხოლმე, გავდევარ გვერდით ოთახში და ვკითხულობ.

— ძალიან ვწუხვარ, ახალგაზრდავ! — უთხრა მთავარმა რედაქტორმა ახალგაზრდა ავტორს, — მაგრამ ჩვენ მხოლოდ ცნობილი ადამიანების რომანებს ვბეჭდავთ!
— ძალიან კარგი. მე მაიერი გახლავართ!

— გეთაყვა, გააჩუმეთ, თუ შეიძლება ენა! — მოუწოდებს შეფი მდივან ქალს.
— მე ხმა არ ამომიღია! — აღშფოთდა ქალი.
— ხმა არ ამოგიღიათ, მაგრამ თქვენს სახეზე უველაფერი იკითხება!

ფრენდი მივლიჩებით გაგზავნეს კელნში. ის ეძებს ტელეფონების წიგნს და რეკავს სასტუმროში.
— ოთახი აბაზანით ღირს 120 მარკა, შხაპით კი — 550 მარკა ერთი ღამით — უხსნის ქალის ხმა.
— კი მაგრამ, რატომ არის თქვენთან ასე ძვირი ოთახი შხაპით?
— იმიტომ, რომ მე გახლავართ ქალბატონი შხაპი!

— ბატონო პროფესორო, თქვენ ცდებოდით, ოთხმა ექიმმა თქვენზე აღრე ერთი და იგივე ღიაგნოზი დახვა.
— შესაძლებელია, მაგრამ გვამის გაკვეთა დაამტკიცებს, რომ მე მართალი ვიყავი!

გერმანულიდან თარგმნა
იან რანზვიანშიძემ



საბინისა და იაშორის შურნალი „ნიანგი“ №18 (1820). სექტემბერი. გამოცემის 1923 წლის ივნისიდან.

მთავარი რედაქტორი ზაურ გოლუშვილი

სარედაქციო კოლეგია:

ავთანდილ ადვიშვილი (პასუხისმგებელი მდივანი), ჭაბუა ამირეჯიბი, ნოშაძი ბარათია, რევაზ თვარაძე, ჭემალ ლოლუა (მხატვარ-რედაქტორი), ნოდარ შალა-ზონია, ალექსანდრე სამსონია, ზევან სიხარულიძე (მთავარი რედაქტორის მოადგილე), ჩანსულ ჩარკვიანი, თამაზ წიგწივაძე.

ტექნიკური რედაქტორი ირაკლი დუნდუა

გადაეცა ასაწყობად 16. 08. 90 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 24. 09. 90 წ. ქალაქის ზომა 60X90¹/₈, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 1,5. სადრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 1,9. საქართველოს კბ ცკ-ის გამომცემლობა, მ. კოსტავის ქ. № 14. შეკ. № 1823. ტირაჟი 125.000. ეურნალი გამოდის თვეში ორჯერ. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.


ჩვენი მისამართი: 880008. თბილისი-8, რუსთაველის პროსპექტი № 42.

ტელეფონები: მთავარი რედაქტორის — 99-55-54, მთ. რედ. მოადგილის — 93-19-42, პ/მგ მდივნის — 93-10-78, მხატვარ-რედაქტორის — 99-02-38. ვახუფილებთან გამგეების — 93-49-32, რედაქტორ-ლიტმუშაკების — 99-02-38, მდივან-მემანქანის — 99-76-69.

სატირიკო - იუმორისტический журнал «НИАН-ГИ» (На грузинском языке). Тбилиси, пр. Рустваели № 42. Издательство ЦК КП Грузии, ордена Трудового Красного Знамени типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. М. Костава № 14.

— არ შეგიძლიათ, პირიც იხე ფართოდ გააღოთ, როგორც თვალები?

ხ.ხ. ჯ. ლოლუშვილი



ფასი 20 კპ.

ინდექსი 78137

